ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ო.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 054/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ტ.-ს მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ტ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 30 აპრილს საჩივრით მომართა ი. ო.-მა და მოითხოვა ადვოკატ ა. ტ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წლის დეკემბერში გააფორმა საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმება ადვოკატ ა. ტ.-თან. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ა. ტ.-ს უნდა ეწარმოებინა მისი და მისი დის - თ. ო.-ო.-ის სამემკვიდრეო საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურებისთვის მან და მისმა დამ თ. ო.-ო.-მა ადვოკატს წინასწარ გადაუხადეს 1000 (ათასი) აშშ დოლარი, რაზეც ადვოკატმა ა. ტ.-მ გამოწერა სალაროს შემოსავლის ორდერი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. ტ.-ს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. სარჩელი შეადგინა და საქმე სასამართლოში აწარმოა სხვა ადვოკატმა - ფ. კ.-მ. ა. ტ. მხოლოდ ორჯერ ესწრებოდა სასამართლო პროცესს, თუმცა ორივე პროცესი გადაიდო და ორივე შემთხვევაში ადვოკატმა არ იცოდა საქმის არსი და მოთხოვნის შინაარსი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ა. ტ.-ს არ ჰქონდა საკმარისი იურიდიული ცოდნა და გამოცდილება ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე, რის გამოც არაერთხელ მოთხოვა მას თანხის დაბრუნება და ხელშეკრულების მოშლა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მოთხოვნაზე - დაებრუნებინა გადაცემული თანხა, ა. ტ.-მ უპასუხა, რომ იგი ამ მოთხოვნით ჩადიოდა „თაღლითობას“ და დაიბარა ოფისში „ოქმის“ შესადგენად „დანაშაულის ფაქტზე“. საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. ტ. უარს აცხადებს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებაზე და ემუქრება დაჭერით.

1.6 საჩივრის ავტორმა 2018 წლის 15 მაისს ეთიკის კომისიის სხდომაზე დამატებით განაცხადა, რომ 2014 წლის დეკემბერში ა. ტ.-ს ოფისში მას ფ. კ.-მ და ა. ტ.-მ იურიდიული მომსახურების გაწევისთვის 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარის წინასწარ გადახდა მოთხოვეს, რადგან საქმის წარმოებას სასამართლოში განახორციელებდა ორი ადვოკატი. ი. ო.-ს გაუკვირდა, რატომ სჭირდებოდა ორი ადვოკატი აღნიშნულ სამოქალაქო საქმეს და კითხვით მიმართა ა. ტ.-ს, თუმცა ამ უკანასკნელის განმარტებით ასე იყო საჭირო. საბოლოოდ, საჩივრის ავტორის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ა. ტ.-მ და ფ. კ.-მ შეამცირეს იურიდიული მომსახურების გაწევისთვის გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) აშშ დოლარის ოდენობამდე. საჩივრის ავტორის განცხადებით, დედამისმა - ო. ხ.-მა 500 (ხუთასი) აშშ დოლარი გადასცა ა. ტ.-ს, ხოლო დარჩენილი 500 (ხუთასი) აშშ დოლარი ი. ო.-მა და თ. ო.-ო.-მა გადაიხადეს ერთი კვირის ვადაში. საჩივრის ავტორი იქვე მიუთითებს, რომ თანხა გადასცა მხოლოდ ა. ტ.-ს და მას ფ. კ.-სთვის თანხა არ მიუცია.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. ტ. არ ამზადებდა საქმისთვის საჭირო საბუთებს. კერძოდ, ა. ტ.-ს მხრიდან მომზადდა მხოლოდ ორი საბუთი და აქედან ერთი განცხადება მან თავად შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ი. ს.-ს პროცესში წარმომადგენლად ჩართვის შესახებ მან არ იცოდა და ადვოკატმა ა. ტ.-მ ეს განახორციელა მასთან შეუთანხმებლად. საჩივრის ავტორის განცხადებით, ი. ს.-მ მას განუმარტა, რომ იგი პროცესზე იმყოფებოდა ა. ტ.-ს დავალებით. ი. ო. მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატი ი. ს. არ იცნობდა საქმის მასალებს, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლო პროცესის დაწყებამდე მას და ფ. კ.-ს ეკითხებოდა საქმის არსის შესახებ.

1.9 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოპასუხის - ლ. ო.-ის გარდაცვალების შესახებ თავად შეატყობინა ბატონ ა. ტ.-ს. პასუხად კი ა. ტ.-მ ლ. ო.-ის წარმომადგენლის ტელეფონის ნომერი სთხოვა.

2. საჩივრის ავტორის მოწმე ო. ხ.:

2.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 15 მაისს საჩივრის ავტორის მოწმე - დედამ ო. ხ.-მა განმარტა, რომ ადვოკატი ერთხელაც არ დასწრებია სასამართლო პროცესს. მოწმის განცხადებით, საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ტელეფონით საუბრის დროს ადვოკატი ა. ტ. მას უყვიროდა.

2.2 მოწმის განმარტებით, მე-4 წელია რაც მიმდინარეობს ო.-ების სამოქალაქო საქმე. იქედან გამომდინარე, რომ ა. ტ.-მ საქმის წარმოებისთვის არაფერი გააკეთა, ო. ხ.-მა 2018 წლის 20 აპრილს მოსთხოვა თანხის უკან დაბრუნება, პასუხად კი ა. ტ. მას დაემუქრა ოქმის შედგენით და შეურაცხყოფა მიაყენა.

2.3 მოწმის განცხადებით, ა. ტ.-ს და ფ. კ.-ს ერთმანეთთან აქვთ კონფლიქტური ურთიერთობა. მოწმე მიუთითებს, რომ ა. ტ. მისი თანდასწრებით ლანძღავდა ადვოკატ ფ. კ.-ს.

3. საჩივრის ავტორის მოწმე ფ. კ.:

3.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 18 მაისს საჩივრის ავტორის მოწმემ ადვოკატმა ფ. კ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი ა. ტ. მისი ნათესავია და რადგან ა. ტ. სამოქალაქო საქმეების წარმოების დროს სწორად ვერ არჩევდა დაცვის ტაქტიკას, ფ. კ.-ს და მის დას, რომელიც ასევე ადვოკატია, თხოვდა დახმარებას სარჩელის შედგენაში.

3.2 მოწმის განმარტებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებითაც ა. ტ.-ს თხოვნით მივიდა მის ოფისში, სადაც გაიცნო ი. ო. და თ. ო.-ო., რომელთაც ჰქონდათ სამემკვიდრეო დავა. მოწმის განცხადებით, მან მოსარჩელე მხარეებს გაუწია იურიდიული კონსულტაცია უშუალოდ ჰონორარის ოდენობაზე შეთანხმებამდე.

3.3 მოწმის განმარტებით, მან საკუთარი სახსრებით გადაიხადა საქმის აღძვრისთვის საჭირო სახელმწიფო ბაჟის თანხა, რომელიც მოსარჩელეებმა საქმის დასრულების შემდეგ დაუბრუნეს.

3.4 მოწმის განმარტებით, მას ა. ტ. სთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან დროის უქონლობის გამო ვეღარ ახერხებდა სამოქალაქო საქმეების წარმოებაში ა. ტ. ს დახმარებას.

3.5 მოწმის განმარტებით, მან აიღო მოწმის - ლ. ო.-ის გარდაცვალების მოწმობა, მიმართა სამოქალაქო რეესტრს, რათა გაეგო მემკვიდრეების ვინაობა და შემდეგ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე უფლებამონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულს ა. ტ.-ს განაწყენება მოჰყვა, რადგან ისიც ესწრებოდა პროცესს და მასაც იგივე შუამდგომლობით ჰქონდა მიმართული სასამართლოსთვის.

3.6 მოწმის განმარტებით, ო.-ების საქმის წარმოება მიდიოდა მორიგებისკენ, მაგრამ მორიგების აქტი ვერ გაფორმდა, რადგან საქმეში ჩართულნი იყვენ მესამე მხარეები და უფლებამონაცვლეები, რომლებიც პროცესში არ მონაწილეობდნენ. მხარეთა შეთანხმებით, მოსარჩელე მხარემ გამოიხმო სარჩელი და ფ. კ.-ს ოფისთან არსებულ სანოტარო ბიუროში დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სადავო ქონება გადაფორმდა ი. და თ. ო.-ებზე.

3.7 მოწმის განმარტებით, ო.-ების საქმეზე იგი წარმომადგენლობას სრულიად უფასოდ ახორციელებდა. მოწმე მიუთითებს, რომ ტექნიკურ საკითხებსაც საკუთარი სახსრებით აგვარებდა (ასლების გადაღება, საფოსტო გზავნილები).

3.8 მოწმის განცხადებით, საქმე უნდა ეწარმოებინა ადვოკატ ა. ტ.-ს, ხოლო ფ. კ. საჭიროებიდან გამომდინარე უნდა დახმარებოდა მას. მოწმის განმარტებით, საბოლოოდ, საქმე სრულად აწარმოა მან და არა ა. ტ.-მ.

3.9 მოწმის განმარტებით, სარჩელი შეადგინა მან, ხოლო ა. ტ. ორ პროცესს დაესწრო და ორივე პროცესი გადაიდო. ხოლო პროცესზე გამოცხადებული ადვოკატი ი. ს. არ იცნობდა საქმის მასალებს.

3.10 მოწმის განმარტებით, იგი არ იცნობს არც ერთ ხელშეკრულებას, რომელიც ა. ტ.-ს კლიენტებთან აქვს გაფორმებული, მათ შორის არ აქვს ინფორმაცია ო.-ებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 ადვოკატმა ა. ტ.-მ 2018 წლის 09 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ი. ო.-თან და თ. ო.-ო.-თან 2014 წლის 01 დეკემბერს გააფორმა №..... რწმუნებულება იურიდიული მომსახურების თაობაზე. ნოტარიუს მ. ფ.-ს მიერ 2014 წლის 01 დეკემბერს გაცემული №..... რწმუნებულება წარმოადგენს ერთობლივ რწმუნებულებას, რომელიც გაცემულია ადვოკატ ა. ტ.-სა და ადვოკატ ფ. კ.-ზე. 2018 წლის 07 მაისს ამავე ნოტარიუსის მიერ გაცემული №.../.. ცნობის თანახმად, №..... რწმუნებულება დღესაც კანონიერ ძალაშია და არავის არ გაუუქმებია.

4.2 ადვოკატის განმარტებით, მოსარჩელე მხარეს შეეძლო სსსკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე მხარეთა პაექრობამდე ნებისმიერ დროს მოსამართლის სახელზე დაეწერა მოტივირებული განცხადება ა. ტ.-ს აცილების თაობაზე, რაც არ გაკეთებულა. შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში აწარმოა სხვა ადვოკატმა დაუსაბუთებელია. ზემოაღნიშნული რწმუნებულებიდან გამომდინარე, ადვოკატი ფ. კ.-ც იყო ვალდებული შეედგინა განცხადებები და შუამდგომლობები, თუმცა ფ. კ. თავს არიდებდა საადვოკატო ვალდებულების შესრულებას. კერძოდ, არ პასუხობდა კლიენტთა სატელეფონო ზარებს და სმს შეტყობინებებს.

4.3 ადვოკატის განმარტებით, მან თ. ო.-ო.-სა და ი. ო.-ის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა ეთიკის კოდექსის ნორმების მოთხოვნების სრულად დაცვით, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. საჩივრის ავტორის განმარტება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ა. ტ. არ ამზადებდა პროცესისთვის საბუთებს უსაფუძვლოა. კერძოდ, 2015 წლის 17 მაისს ა. ტ.-ს ოფისში, მის პერსონალურ კომპიუტერზე დაიბეჭდა თ. ო.-ო.-ისა და ი. ო.-ის სასარჩელო განცხადება, სადაც მითითებულია ა. ტ.-ს ოფისის მისამართი და ასევე მიმართვის წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე სადავო ქონებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა საექსპერტო დაწესებულებამ სწორედ ა. ტ.-ს ოფისის მისამართზე გამოაგზავნა თავისი წერილობითი უარყოფითი პასუხი.

4.4 ა. ტ.-ს განმარტებით, ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ მეორე სასარჩელო განცხადების შედგენის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეტანის თარიღი ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, კერძოდ, ფ. კ.-ს სასარჩელო განცხადების შევსების თარიღად აქვს მითითებული 2015 წლის 17 მაისი, მაშინ, როდესაც ფაქტობრივად ეს სასარჩელო განცხადება სასამართლო კანცელარიაში გატარებულია 2015 წლის 21 ოქტომბერს (რეგ.№.....). გამოდის, რომ ადვოკატმა ოთხ თვეზე მეტი დროის განმავლობაში არ შეადგინა მეორე სასარჩელო განცხადება და არ შეიტანა სასამართლოს კანცელარიაში, ხოლო სარჩელის შევსების დროდ არასწორად მიუთითა უკანა რიცხვი 2015 წლის 17 მაისი და ეს თარიღი აჩვენა მოსარჩელეებს მათი შეცდომაში შეყვანის მიზნით. ამ პერიოდში ადვოკატი ფ. კ. უკვე დათხოვნილი იყო ა. ტ.-ს ბიუროდან და მიუხედავად მარწმუნებლების წინაშე არსებული ვალდებულებისა, იგი არ პასუხობდა მოსარჩელეების და მათი დედის ო. ხ.-ის სატელეფონო ზარებს და სმს შეტყობინებებს. ამის გამო მოსარჩელეები ადვოკატ ა. ტ.-ს თხოვდნენ დახმარებას, რათა როგორმე დაკავშირებოდნენ ადვოკატ ფ. კ.-ს.

4.5 ადვოკატ ა. ტ.-ს განმარტებით, 2016 წლის 09 აგვისტოს მარწმუნებლებისა და მათი დედის თხოვნით პირადად მან შეადგინა 15:20 სთ-ზე №..... განცხადება, რომელიც ეხებოდა საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მოსარჩელეთა მამიდის რ. დ.-ის

ასულ ო.-ის ჩართვას, რომელიც ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში. აღნიშნული განცხადება გადაწერეს მოსარჩელეებმა და თავად შეიტანეს კანცელარიაში.

4.6 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 11 აგვისტოს პირადად შეადგინა განცხადება №....., რომელიც ეხებოდა რ. ო.-ის საქმეში მესამე პირად ჩართვის მოხსნას და პროცესის ჩანიშვნის დაჩქარებას. აღნიშნულს ადასტურებს კანცელარიის ფირნიში, რომელიც ა. ტ.-ს გადასცა კანცელარიის რეგისტრატორმა.

4.7 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 08 მაისს პირადად მან შეადგინა განცხადება №./.. №....., რომლის მეშვეობითაც სასამართლოს აცნობა, რომ 2016 წლის ნოემბრის თვეში გარდაიცვალა მოპასუხე ლ. ო. და რადგან წინა პროცესიდან გასული იყო ცხრა თვეზე მეტი, საჭირო იყო პროცესის სასწრაფოდ დანიშვნა, რათა გარკვეულიყო აწ გარდაცვლილი ლ. ო.-ის უფლებამონაცვლეების ვინაობა.

4.8 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 07 ივნისს შეადგინა განცხადება №....., რომელიც ემსახურებოდა ლ. ო.-ის გარდაცვალების ფაქტის შეტყობინებას მოსამართლისთვის. №..... განცხადება მოსამართლე ე. ზ.-მ დააკმაყოფილა და 2017 წლის 09 ივნისს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანა განჩინება, რომლის მიხედვითაც ჩანიშნა სასამართლო პროცესი 2017 წლის 07 ივლისს 17:15 სთ-ზე. აღნიშნულ განჩინებაში მხოლოდ ადვოკატი ა. ტ. არის მოხსენებული, რადგან ფ. კ.-ს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია პროცესის დაჩქარების მიზნით დოკუმენტების შედგენაში.

4.9 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 05 ივლისს ა. ტ.-მ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლობა (რეგისტ. №.....) „დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ“, სადაც მიუთითა ლ. ო.-ის პირადი ნომერი, დაბადების თვე, რიცხვი, ასევე გარდაცვალების ზუსტი თარიღი და გარდაცვალების მოწმობის ნომერი (№.....) და ამ შუამდგომლობას დაურთო ლ. ო.-ის გარდაცვალების მოწმობა.

4.10 ადვოკატის განმარტებით, გარდაცვლილი ლ. ო.-ის ადვოკატის გ. ხ.-ის დახმარებით დაადგინა ლ. ო.-ის მემკვიდრეების - მეუღლე, ე. მ.-სა და მისი ქალიშვილის ა. ო.-ის საცხოვრებელი მისამართები ქ.ბათუმსა და საბერძნეთში. ასევე სსსკ-ის 215-ე მუხლის საფუძველზე იშუამდგომლა მოსამართლის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს გამოეთხოვა ინფორმაცია საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან ლ. ო.-ის დანაშთი ქონების მიმღები მემკვიდრეების შესახებ და ეს პირები მოსამართლეს ჩაერთო მოპასუხე მხარედ - ლ. ო.-ის უფლებამონაცვლედ. აღნიშნული 05 ივლისის №..... დასაბუთებული შუამდგომლობა ფ. კ.-მ თავისი ინიციატივით მოხსნა და სასამართლოს წინაშე დააყენა ზეპირი შუამდგომლობა სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოდან ანალოგიური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული შუმდგომლობის დაყენებით ფ. კ.-მ დაბლოკა მარწმუნებლების კანონიერი ინტერესების დაცვა ა. ტ.-ს მხრიდან.

4.11 ადვოკატის განმარტებით, ორი თვის გასვლის შემდეგ, 2017 წლის 27 სექტემბერს, ფ. კ.-მ იგივე შუამდგომლობა დააყენა სასამართლოს წინაშე (რეგ.№....., ს.ფ.225-226) უფლებამონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით. შუამდგომლობაში უფლებამონაცვლეების - ე. მ.-სა და ა. ო.-ის მისამართი არ იყო მითითებული, ხარვეზი კი ფ. კ.-მ მხოლოდ 02 ოქტომბერს მოსამართლე ე. ზ.-ის სახელზე დაწერილი განცხადებით გამოასწორა. თუმცა, ფ. კ.-მ დაუშვა კვლავ ახალი შეცდომა, კერძოდ, განცხადებაში მიუთითა სადავო ქონების მისამართი და არა ფაქტობრივი მისამართი, სადაც ე. მ. და ა. ო. ცხოვრობდნენ. შედეგად, სასამართლოს მიერ შეუძლებელი გახდა უწყების ჩაბარება და პროცესის განახლება.

4.12 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ა. ტ. მხოლოდ ორ პროცესს დაესწრო თბილისის საქალაქო სასამართლოში დაუსაბუთებელია. ადვოკატის განმარტებით, საქმე №2/.....-15 თავდაპირველად ეწერა მოსამართლე დ. ა.-ს, შემდეგ ც. ს.-ს და მესამედ დაეწერა მოსამართლე ე. ზ.-ს. შესაბამისად, ე. ზ.-ის მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეში №2/.....-15 არ ჩანს წინა სასამართლო სხდომის ოქმები.

4.13 ა. ტ.-ს განმარტებით მან მონაწილეობა მიიღო სამივე მოსამართლის მიერ განხილულ საქმეში და მისი გამოსვლები დაფიქსირებულია სხდომის ოქმებში. კერძოდ, 2016 წლის 05 მაისის სხდომის ოქმში ა. ტ.-მ 9-ჯერ დააფიქსირა თავისი მარწმუნებლის პოზიცია (ტ. I ს.ფ 122-136). 2016 წლის 05 მაისის საოქმო განჩინებაში დაფიქსირებულია ა. ტ.-ს სასარჩელო მოთხოვნა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სახით რ. ო.-ის ჩაბმის შესახებ (ტ. I ს.ფ.147-148). ა. ტ. დაფიქსირებულია 2016 წლის 09 სექტემბრის განჩინებაში (ტ. I ს.ფ.173-176). ა. ტ. დაფიქსირებულია 2017 წლის 09 ივნისის განჩინებაში სადაც დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა 2017 წლის 17 ივლისს 17:15 სთ-ზე პროცესის ჩანიშვნის შესახებ (ტ. I ს.ფ.183-186). 2017 წლის 17 ივლისს სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებულია საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი ი. ს., რადგან პროცესს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო თავად.

4.14 ადვოკატის განმარტებით, მისთვის, როგორც მხარის ადვოკატისთვის სასამართლო სხდომის მდივანს და მოსამართლის თანაშემწეს მხოლოდ ერთხელ აქვს შედგენილი ტელეფონით სასამართლოში დაბარების აქტი 2017 წლის 21 ივნისს. აღნიშნული დაბარების აქტით ა. ტ.-ს აცნობეს, რომ 2017 წლის 17 ივლისს 17:15 სთ-ზე გაიმართებოდა მისი შუამდგომლობით დანიშნული სასამართლო პროცესი. ადვოკატის განმარტებით, მას გარდა ზემოაღნიშნული სატელეფონო შეტყობინებისა სხვა დანარჩენ შემთხვევაში სასამართლოდან არ გაგზავნია უწყება და არც სატელეფონო შეტყობინებას ჰქონია ადგილი პროცესის დანიშვნის თაობაზე. შესაბამისად, თუ მას ვინმე არ გააფრთხილებდა პროცესის ჩანიშვნის შესახებ, იგი ვერანაირად ვერ დაესწრებოდა პროცესს.

4.15 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ფ. კ.-ს სახელზე გამოწერილია არაერთი ხელწერილი, თუმცა მისი ჩაბარება ქ.რუსთავში უმეტეს შემთხვევაში ვერ ხერხდებოდა ადრესატის მისამართზე არყოფნის გამო. შედეგად, სასამართლოს დაუბრუნდა რ. ო.-თვის, როგორც მესამე პირისათვის გადასაგზავნი მოსამართლის განჩინება, სასარჩელო განცხადება და სხვა მტკიცებულებები. ადვოკატის განმარტებით, რადგან ფ. კ.-ს მითითებულ მისამართზე არ ბარდებოდა სასამართლო გზავნილები, სასამართლო ვალდებული იყო ადვოკატ ა. ტ.-ს ოფისის მისამართზე გაეგზავნა ყველა დოკუმენტი და უწყებები პროცესის ჩანიშვნის შესახებ, რაც არ გაკეთებულა. სასამართლო მოხელე ც. ქ.-მ 2016 წლის 08 თებერვალს შეადგინა სათანადო აქტი ფ. კ.-ზე გაგზავნილი დოკუმენტების ჩაუბარებლობაზე, რომელიც ასევე არ ჩაბარდა ადრესატს. ამის შემდეგ მოსარჩელეებმა მიმართეს ა. ტ.-ს, რათა ამ უკანასკნელს შეეტანა მოსამართლე ე. ზ.-ის სახელზე განცხადება, რომლის თანახმადაც მოსარჩელეებს გაეგზავნებოდა მესამე პირისთვის ჩასაბარებელი საბუთები შემდგომი რეაგირების მიზნით.

4.16 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 14 დეკემბერს მოსამართლის თანაშემწე მ. შ.-მ შეადგინა აქტი ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ ფ. კ.-სთან და გააფრთხილა იგი, რომ მორიგი სხდომა დანიშნული იყო 2017 წლის 20 დეკემბერს 15:30 სთ-ზე, რაზედაც ამ ადვოკატს არც ა. ტ.-სთვის და არც ი. ს.-თვის არ შეუტყობინებია. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული მოქმედება ადვოკატმა ფ. კ.-მ ა. ტ.-ს და ი. ო.-ს შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზნით განზრახ გააკეთა. თუმცა თავად ი. ო.-ც იყო ვალდებული გაეფრთხილებინა ა. ტ. სასამართლოს პროცესის

ჩანიშვნის შესახებ. პროცესის ჩანიშვნის თაობაზე გაფრთხილებული იყო მოპასუხე მხარე - ი. გ., რ. ო. და ე. ო., თუმცა არც ერთი მათგანი პროცესზე არ გამოცხადებულა, რის გამოც 2017 წლის 20 დეკემბრის პროცესი მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო 2018 წლის 20 თებერვლის 16:00 სთ-ისთვის. აღნიშნულის შესახებ ადვოკატ ა. ტ.-სთვის არავის არ უცნობებია, მაშინ როდესაც ფ. კ. სასამართლოს მიერ წერილობით იქნა გაფრთხილებული პროცესის ჩანიშვნის თაობაზე.

4.17 ადვოკატის განცხადებით, საქმის მასალების შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ სასამართლომ მოსარჩელეებს მათ მიერ მითითებულ საცხოვრებელ მისამართზე ქ. თბილისში გაუზგავნა სამ ფურცლად მოპასუხე მხარე - ე. მ.-ო.-ის და ა. ო.-თვის გადასაცემად შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ შედგენილი მიმართვები და ოქმები კანცელარიის რეგ. №..... სამ ფურცლად, მოპასუხე მხარის საცხოვრებელი მისამართების დაზუსტების მიზნით. ფოსტის თანამშრომელმა ლ. ე.-მა შეადგინა ორი უკუგზავნილის დოკუმენტი, რადგან მოსარჩელეთა მითითებული მისამართი არასრული იყო.

4.18 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 20 დეკემბრის სხდომის შესახებ მისთვის არავის უცნობებია. ანალოგიურად, 2018 წლის 20 თებერვალს არავის გაუფრთხილებია ადვოკატი პროცესის დანიშვნის შესახებ. ადვოკატის განმარტებით, ფ. კ.-მ დაარღვია ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნები, რადგან არც ა. ტ.-ს და არც ი. ს.-ს არ აცნობა 2017 წლის 20 დეკემბერს და 2018 წლის 20 თებერვალს ჩანიშნული სასამართლო პროცესის ჩანიშვნის შესახებ. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ფ. კ.-მ ხელოვნურად „თამაშგარეშე მდგომარეობაში“ დატოვა ადვოკატები - ა. ტ. და ი. ს.. ფ. კ.-მ პროცესზე გამოუცხადებლობის აღნიშნული გარემოება შურისძიების მიზნით ბოროტად გამოიყენა, რასაც ადასტურებს ეთიკის კომისიაში 2018 წლის 30 აპრილს შეტანილი საჩივარი და თ. ო.-ო.-ისა და ი. ო.-ის სახელით ა. ტ.-ს მიმართ გაგზავნილი განცხადება 2018 წლის 23 აპრილს.

4.19 ა. ტ.-ს განმარტებით, საქმეში დევს ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ მოსამართლე ე. ზ.-ის სახელზე დაწერილი №..... განცხადება დათარიღებული 2018 წლის 20 თებერვლით, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა სსსკ-ის 83-ე პრიმა მუხლის ნაცვლად შეცდომით სსსკ-ის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე აპელირებით იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სარჩელის გამოხმობისა და განუხილველად დატოვების თაობაზე. აღნიშნულ განცხადებას ეთანხმება ი. ო., ხოლო თ. ო.-ო.-ის პოზიცია ამ განცხადებაზე არ არის დაფიქსირებული (ტ.II ს.ფ 19). რადგან ა. ტ.-თვის უცნობი იყო სასამართლო პროცესის დანიშვნის თარიღი, 2018 წლის 20 თებერვალს 16:00 სთ-ზე პროცესი გაიხსნა მისი მონაწილეობის გარეშე, რომელიც მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაიხურა 16:05:50 სთ-ზე (ტ. II ს.ფ 20-21). მოსარჩელეთა განმარტებით, პროცესი დამთავრდა მხარეთა მორიგებით, თუმცა ეს აღმოჩნდა ტყუილი და სასამართლოს მსგავსი მორიგება არ დაუმტკიცებია. ფ. კ.-მ და ო. ხ.-მა კი ი. ს.-ს პირით მადლობა შეუთვალეს ადვოკატ ა. ტ.-ს. სინამდვილეში პროცესი არ ჩატარებულა მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. ხოლო მოსამართლე ე. ზ.-მ დააკმაყოფილა ფ. კ.-ს და ი. ო.-ის №..... განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ.

4.20 ადვოკატის განმარტებით, ფ. კ.-ს მიერ სსსკ-ის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მითითება არასწორია, რადგან სარჩელის გამოხმობა ხდება სსსკ-ის 83-ე პრიმა მუხლის მიხედვით. მოსამართლემ თავისი ინიციატივით გაასწორა აღნიშნული ხარვეზი და დააკმაყოფილა ფ. კ.-ს შუამდგომლობა (მეორე ტომი ს.ფ.19-26) სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე მოპასუხეების - ი. გ.-ის, ლ. ო.-ის უფლებამონაცვლეების, ე. მ.-სა და ა. ო.-ის მიერ სამკვიდრო მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ აღიარების

შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოსარჩელეებმა სამართლებრივად უარის თქვეს მიეღოთ ბებიის, თ. ო.-ის დანაშთი ქონების ½ და თითოეული მათგანს ამ ½-ის ¼- ¼ ნაწილი. 2018 წლის 21 თებერვალს, ადვოკატ ფ. კ.-ს გაეგზავნა ზემოთმითითებული განჩინება საცხოვრებელ მისამართზე ქ.რუსთავში ოთხ ფურცლად. 05 მარტს და 02 აპრილს კვლავ გაეგზავნა განჩინება ოთხ ფურცლად. ხოლო 2018 წლის 18 აპრილს ფ. კ.-ს სასამართლოში დააწერინეს ხელწერილი იმის თაობაზე, რომ ის არ ასაჩივრებდა მოსამართლის 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებას საქმეზე №2/.....-15 (ტ. II ს.ფ46).

4.21 ა. ტ.-ს განმარტებით, ი. ო.-ის 2018 წლის 27 ივნისს ეთიკის კომისიის სხდომაზე მიცემული განმარტება არ შეესაბამება სიმართლეს იმასთან დაკავშირებით, რომ მან ადვოკატად აიყვანა ფ. კ. მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ა. ტ. იყო არაკომპეტენტური. ადვოკატის განმარტებით ფ. კ. იყო ა. ტ.-ს ოფისში დასაქმებული ადვოკატი. ა. ტ.-ს განმარტებით, მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ როგორც კლიენტები, ასევე ადვოკატი ფ. კ. კონტაქტში იყვნენ მასთან, რასაც დაადასტურებს მის პირად ნომერზე (xxx xx xx xx) შემოსული სატელეფონო ზარები. ადვოკატი იქვე განმარტავს, რომ თ. ო.-ო. და მათი დედა ო. ხ. ქ.თბილისში ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მიღებული ყავს 17-ჯერ, რა დროსაც გაეწიათ კვალიფიციური იურიდიული მომსახურება.

4.22 ადვოკატის განმარტებით, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით თითქოსდა ა. ტ. თავის მარწმუნებელს ემუქრებოდა.

4.23 ეთიკის კომისიის წინაშე ფ. კ.-ს პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მას ჰონორარი არ აუღია არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ფ. კ.-ს ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე ა. ტ.-მ პირადად გადასცა 175 (ას სამოცდათხუთმეტი) აშშ დოლარი. ა. ტ. იგივენაირად მოიქცა დარჩენილ 500 (ხუთასი) აშშ დოლართან დაკავშირებითაც, რომელიც 2014 წლის 10 დეკემბერს თ. ო.-ო.-მა პირადად გადასცა ფ. კ.-ს.

4.24 ადვოკატის განმარტებით, ფ. და მ. კ.-ებზე განაწყენებული კლიენტები მიდიოდნენ და ახლაც მიდიან მასთან და უკმაყოფილებას გამოხატავენ დების მიერ გაწეულ საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებით.

4.25 ადვოკატის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მან ფ. კ.-ს განუმარტა, რომ გადაეცა მისთვის ყველა სამოქალაქო საქმე და წინასწარ გადახდილი თანხები, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ რუსთავში კ.-ების დედის ბინა გაქურდეს და წაიღეს გადასახდელი ბაჟის თანხა (20000 ლარზე მეტი), დები უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდიდნენ. ა. ტ.-მ გაითვალისწინა რა მათი ნათესაური კავშირი მეუღლესთან, მისცა საშუალება დაემთავრებინათ ყველა სამოქალაქო საქმე რომელსაც ერთად აწარმოებდნენ.

5. ადვოკატის მოწმის ი. ს.-ს პოზიცია:

5.1 ადვოკატის მოწმემ ადვოკატმა ი. ს.-მ 2018 წლის 11 მაისს წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ 2013 წელს იგი გადიოდა სტაჟირებას ადვოკატ ა. ტ.-ს ოფისში სამი თვის განმავლობაში, რა დროსაც გაიცნო დები ფ. და მ. კ.-ები. მოწმის განმარტებით სტაჟირების გავლის შემდეგ მან საადვოკატო ბიურო დატოვა. მოწმემ განაცხადა, რომ 2015 წლის ივნისის თვეში მას დაუკავშირდა ა. ტ. და მასთან ოფისში დასაქმება შესთავაზა, რაზეც მან თანხმობა განაცხადა.

5.2 მოწმის განმარტებით, 2015 წლის 10 ივნისს ა. ტ.-მ ოფისში მისულ ი. ს.-ს განუმარტა, რომ ადვოკატები ფ. და მ. კ.-ები დაითხოვა ოფისიდან იმის გამო, რომ მათ კლიენტებთან მუდმივად მოსდიოდათ უსიამოვნება.

5.3 მოწმის განმარტებით, 2017 წლის ივლისის თვის დასაწყისში მას დაუკავშირდა ა. ტ. და 2017 წლის 17 ივლისს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე გამოცხადება თხოვა, რადგან თავად თავს შეუძლოდ გრძნობდა, ხოლო ადვოკატ ფ. კ.-ს, რომელთან ერთადაც აწარმოებდა ოვაკოვების საქმეს, ტელეფონი სისტემატურად ჰქონდა გამორთული.

5.4 მოწმემ განაცხადა, რომ ა. ტ.-მ გადასცა საქმის მასალები გასაცნობად და მოსამართლე ე. ზ.-ის სახელზე 2017 წლის 05 ივლისს მის მიერ შედგენილი შუამდგომლობის ასლი. მოწმის განმარტებით, მისი საქმეში ჩართვის პროცესი ა. ტ.-მ შეათანხმა კლიენტების დედასთან - ო. ხ.-თან, თ. ო.-ო.-თან და ი. ო.-თან. მოწმე აღნიშნავს, რომ პროცესის წინა დღეს, 2017 წლის 16 ივლისს მას დაუკავშირდა ო. ხ., რომელმაც ი. ს.-სთან გადაამოწმა მიიღებდა თუ არა ეს უკანასკნელი ხვალინდელ პროცესში მონაწილეობას.

5.5 მოწმის განმარტებით, იგი 2017 წლის 17 ივლისს 17:51 წუთზე გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც მდებარეობს ბელაჩაურის ქუჩაზე საქმეზე №2/.....-15. აღნიშნულ სასამართლო პროცესზე მოსამართლე ე. ზ.-მ დააკმაყოფილა ა. ტ.-ს 2017 წლის 05 ივლისის შუამდგომლობა განჩინებით და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაავალა ლ. ო.-ის დანაშთი ქონების მემკვიდრეების დამადასტურებელი საბუთების თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენა. პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე და მოსამართლემ დახურა პროცესი მორიგი სხდომის ჩაუნიშნავად.

5.6 მოწმის განმარტებით, პროცესიდან გამოსვლის შემდეგ მან გააფრთხილა როგორც ი. ო. ასევე ო. ხ., რათა მისთვის ან ა. ტ.-სთვის ეცნობებინათ მორიგი სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შესახებ, რაზედაც თანხმობა განუცხადეს. მიუხედავად გაცხადებული თანხმობისა 2017 წლის 20 დეკემბრის პროცესის ჩანიშვნის შესახებ ი. ს.-სთვის და ა. ტ.-სთვის არავის არ უცნობებია. როგორც შემდეგში გაირკვა აღნიშნული პროცესი გადაიდო ა. ო.-ის გამოუცხადებლობის გამო.

5.7 მოწმის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში შემთხვევით შეხვდა ფ. კ., რომელმაც მოახსენა, რომ „პროცესი ჯერ არ ჩანიშნულა, მაგრამ არ ინერვიულო მხარეები რიგდებიან და სხდომაზე საჭირო არ იქნებიო“. მიუხედავად ამისა, ი. ს.-მ ადვოკატ ფ. კ.-ს უთხრა, რომ პროცესის ჩანიშვნის თარიღი მისთვის მაინც შეეტყობინებინა.

5.8 მოწმის განმარტებით, 2018 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ა. ტ.-მ ტელეფონით შეატყობინა 2018 წლის 20 თებერვალს დანიშნული სასამართლო პროცესის შესახებ. მოწმემ განაცხადა, რომ დაუკავშირდა ო. ხ.-ს და გადაამოწმა ფ. კ.-ს ნათქვამი მორიგებასთან დაკავშირებით, რაზეც ო. ხ.-მა განაცხადა, რომ მხარეები მართლაც მორიგდნენ და „ნუ შეწუხდებოდა“ ადვოკატი პროცესზე მისვლით. მიუხედავად ამისა, მოწმის განმარტებით, მან პროცესის წინა დღეს, 19 თებერვალს დაურეკა ო. ხ.-ს და ჰკითხა გამოცხადებულიყო თუ არა 20 თებერვალს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე. ო. ხ.-მა ი. ო.-თან შეთანხმებით ი. ს.-ს განუცხადა, რომ მხარეთა შორის საქმე მორიგებით უკვე მოგვარებულია და ფორმალურ მხარეს ადვოკატი ფ. კ.-ც გააკეთებდა.

5.9 მოწმის განმარტებით, 2018 წლის 18 აპრილს მას დაუკავშირდა ა. ტ., რომელმაც მოახსენა, რომ ო. ხ., თ. ო.-ო. და ი. ო. კატეგორიულად ითხოვდნენ გადახდილი ჰონორარის (1000 აშშ დოლარი)

უკან დაბრუნებას, რადგან მათი თქმით არც ა. ტ.-ს და არც ი. ს.-ს არაფერი გაუკეთებიათ საქმის მოგვარებისთვის და რომ პროცესი მორიგებით დაასრულა სხვა ადვოკატმა.

5.10 მოწმის განმარტებით, ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ი. ო.-ის მიერ 2018 წლის 23 აპრილის განცხადების შინაარსში ა. ტ.-ს მისამართით და 2018 წლის 30 აპრილის საჩივარი არ შეესაბამება სიმართლეს.

5.11 მოწმემ დამატებით 2018 წლის 09 ივლისს ეთიკის კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ მან ი. ო. და ო. ხ. პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე დაიბარა ა. ტ.-ს ოფისში მინდობილობის გასაფორმებლად, თუმცა მხარე არ გამოცხადდა ოფისში. მოწმის განმარტებით, იგი 2017 წლის 17 ივლისს პროცესამდე ერთი საათით ადრე მხარის თხოვნით გამოცხადდა სასამართლოში, რათა ახლო მდებარე ნოტარიუსთან გაეფორმებინათ მინდობილობა. სასამართლოში მისულს იქ დახვდა ფ. კ., ო. ხ. და ი. ო.. ი. ს.-მ გამოწერა ორდერი, რადგან ვერ მოხერხდა მინდობილობის გაფორმება დროის სიმწირის გამო.

IV სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

6.1 ადვოკატი ა. ტ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

6.2 ი. ო.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 30 აპრილს.

6.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ტ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ა. ტ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საქმე აწარმოა სხვა ადვოკატმა და შესაბამისი დოკუმენტაციაც მომზადდა სხვა ადვოკატის მიერ; ადვოკატი 2 პროცესზე მეტს არ დასწრებია; ადვოკატს არ გააჩნდა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება რათა ეწარმოებინა საქმე.

8.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ტ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

8.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი:,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

8.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

8.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად კლიენტის ინტერესების წარმოდგენა გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად.

8.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

8.5 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ “ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“

8.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2014 წლის 01 დეკემბერს წერილობითი ფორმით დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ადვოკატმა ა. ტ.-მ აიღო ვალდებულება ი. ო.-ის და თ. ო.-ო.-სთვის გაეწია სამართლებივი დახმარება სამემკვიდრეო დავასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ა. ტ.-მ კლიენტებთან შეთანხმებით საქმეში ჩართო ადვოკატი ფ. კ., რაც დადასტურებულია მინდობილობით.

8.7 კოლეგიამ წარმოდგენილი საქმის მასალების საფუძველზე (საქმე N2/.....-15, ტომი I და ტომი II) დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. 2015 წლის 21 ოქტომბერს სასამართლოში შესულია თ. ო.-ო.-ისა და ი. ო.-ის სარჩელი, სადაც მათი წარმომადგენელია ადვოკატი ფ. კ. მოპასუხის, ლ. ო.-ის მიმართ. სარჩელს ხელს აწერს ადვოკატი ფ. კ.. ადვოკატმა ფ. კ.-მ 2015 წლის 27 ოქტომბერს სასამართლოში წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი გზავნილი. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი თანდართული საბუთების ასლებით სასამართლოს მიერ 2015 წლის 02 ნოემბერს გაეგზავნა ადვოკატ ფ. კ.-ს.

2. სასამართლომ 2015 წლის 04 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დანიშნა 2016 წლის 05 მაისს. 2016 წლის 08 თებერვალს ამ საქმეზე ადვოკატმა ფ. კ.-მ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს.

3. 2016 წლის 05 მაისის სხდომაზე თ. ო.-ო.-სა და ი. ო.-ის ინტერესებს წარმოადგენდა 2 ადვოკატი: ფ. კ. და ა. ტ.. საქმეში წარმოდგენილია ადვოკატ ა. ტ.-ს შუამდგომლობა, სადაც

ის ითხოვს სასამართლომ მოწმის სახით დაკითხოს კონკრეტული პიროვნებები. 2016 წლის 05 მაისის სხდომაზე სასამართლომ ა. ტ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე საქმეში ჩააბა მესამე პირი, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

4. 2016 წლის 09 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. ო.-ო.-ის განცხადება, სადაც მისი წარმომადგენლის გრაფაში მითითებულნი არიან ადვოკატი ფ. კ. და ადვოკატი ა. ტ..

5. 2017 წლის 08 მაისს ადვოკატმა ა. ტ.-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს პროცესის დაჩქარების შესახებ.

6. იგივე შინაარსის განცხადებით მიმართა ადვოკატმა ა. ტ.-მ სასამართლოს 2017 წლის 07 ივნისს.

7. 2017 წლის 09 ივნისის განჩინებაში მოსამზადებელი სხდომის განსაზღვრის თაობაზე, მოსარჩელეთა წარმომადგენლად მითითებულია მხოლოდ ადვოკატი ა. ტ..

8. ადვოკატმა ა. ტ.-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე 2017 წლის 05 ივლისს.

9. 2017 წლის 17 ივლისის სხდომაზე ადვოკატ ფ. კ.-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო ადვოკატმა ი. ს.-მ. ი. ს.-ს პროცესზე დასწრება გამოწვეული იყო ადვოკატ ა. ტ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით.

10. 2017 წლის 27 სექტემბერს ფ. კ.-მ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმეში გარდაცვლილი მოპასუხის უფლებამონაცვლეებით შეცვლის შესახებ.

11. 2017 წლის 03 ოქტომბრის სასამართლოს განჩინებაში უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე, მოსარჩელეთა წარმომადგენლად მითითებულია მხოლოდ ადვოკატი ფ. კ.. ეს განჩინება სასამართლოს მიერ გაეგზავნა მხოლოდ ადვოკატ ფ. კ.-ს.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოსათვის სასამართლო გზავნილის მხარეთათვის გადაცემის დავალების შესახებ, მოსარჩელეთა წარმომადგენლად მითითებულია მხოლოდ ადვოკატი ფ. კ..

13. 2017 წლის 17 ნოემბერს საქალაქო სასამართლომ მიმართვა გაუგზავნა ადვოკატ ფ. კ.-ს. იგივე მიმართვა ადვოკატ ფ. კ.-ს განმეორებით გაეგზავნა 2017 წლის 27 ნოემბერს.

14. საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაში მოსამზადებელი სხდომის თარიღის განსაზღვრის თაობაზე, მოსარჩელეთა ადვოკატად მითითებულია მხოლოდ ადვოკატი ფ. კ..

15. 2017 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ფ. კ.. 2018 წლის 20 თებერვალს საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა ადვოკატმა ფ. კ.-მ, განცხადებაში მიუთითა, რომ მხარეები მორიგდნენ და მოითხოვა სარჩელის გამოხმობა. ადვოკატ ფ. კ.-ს განცხადების საფუძველზე, 2018 წლის 20 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება თ. ო.-ო.-ისა და ი. ო.-ის სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნული განჩინება 2018 წლის 18 აპრილს ჩაიბარა ადვოკატმა ფ. კ.-მ.

8.8 კოლეგიის შეფასებით, რადგან ი. ო.-ისა და თ. ო.-ო.-ის საქმეში ჩართული იყო 2 ადვოკატი თავიდანვე, აღნიშნული პირები სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე ყოფილან ადვოკატის გარეშე. ადვოკატი ა. ტ. მონაწილეობას იღებდა როგორც დოკუმენტების მომზადებაში, ასევე აყენებდა შუამდგომლობებს და მონაწილობას იღებდა სასამართლოს სხდომებში.

8.9 კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ადვოკატ ა. ტ.-ს მოწმის, ადვოკატ ი. ს.-ს პოზიციით, რომელიც განმარტავს, რომ მას ა. ტ.-მ კლიენტებთან შეთანხმებით სთხოვა ამ საქმეში ჩართვა, რათა თავად იმ ეტაპზე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ შეძლებდა სხდომაზე დასწრებას. ადვოკატი ი. ს. საქმეში ჩაერთო, მონაწილეობა მიიღო ერთ სასამართლო სხდომაზე და შემდეგ, ვინაიდან მხარეები უნდა მორიგებულიყვნენ, თავად კლიენტების და ადვოკატ ფ. კ.-ს განმარტებით, საქმეში მის მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა. კოლეგიის შეფასებით, წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად ირკვევა, რომ ადვოკატ ა. ტ.-ს კლიენტების, ი. ო.-ისა და მისი დის სასამართლო დავა დასრულდა, სარჩელი გამოიხმეს.

8.10 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორის პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ა. ტ. არ ამზადებდა საქმისთვის საჭირო დოკუმენტებს, იგი არის არაკვალიფიციური და არ ესწრებოდა სასამართლო პროცესებს, არ იქნა გაზიარებული, რადგან საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციითა და დოკუმენტებით იკვეთება, რომ ადვოკატის მიერ განხორციელდა იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებები, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული.

8.11 კოლეგიის შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, რომ ადვოკატსა და კლიენტს კომუნიკაცია ჰქონდათ ტელეფონით და პირადად. ი. ო.-ს, თ. ო.-ო.-ს და მათ დედას - ო. ხ.-ს არ შეზღუდვიათ შესაძლებლობა ადვოკატ ა. ტ.-სგან მიეღოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით.

8.12 საპროცესო კოლეგიამ მომჩივანის პრეტენზიაზე ადვოკატ ა. ტ.-ს მიერ საადვოკატო მომსახურების თანხის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

8.13 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს

უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

8.14 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა წერილობითი ფორმით, სადაც მხარეების მიერ განისაზღვრა იურიდიული მომსახურების საფასური. ეთიკის კომისიაში საქმის საპროცესო განხილვისას ორივე მხარემ დაადასტურა, რომ შეთანხმებულები იყვნენ ჰონორარის 1000 (ათასი) აშშ დოლარის გადახდაზე, რომელიც ადვოკატ ა. ტ.-ს სრულად გადაეცა.

8.15 კოლეგიის შეფასებით, ა. ტ.-მ და ადვოკატმა ფ. კ.-მ საქმის წარმოება ბოლომდე მიიყვანეს. საქმეზე დადგა შედეგი, ანუ შესრულდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ადვოკატ ა. ტ.-ს მიერ აღებული ის ვალდებულება, რისთვისაც კლიენტმა მას საადვოკატო მომსახურების თანხა 1000 (ათასი) აშშ დოლარი გადაუხადა. შესაბამისად, ადვოკატ ა. ტ.-ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება. კოლეგია დამატებით განმარტავს, რომ ეთიკის კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ვერ შეაფასებს, როგორ განხორციელდა მიღებული ჰონორარის განაწილება საქმეში ჩართულ ადვოკატებს: ადვოკატ ა. ტ.-სა და ადვოკატ ფ. კ.-ს შორის.

8.16 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სატელეფონო საუბრისას ადვოკატი ემუქრებოდა და უყვიროდა. ამ პრეტენზიასთან მიმართებით ადვოკატს აქვს განსხვავებული პოზიცია, ის ამ ფაქტს არ ადასტურებს. საჩივრის ავტორის პოზიცია დაადასტურა მისმა მოწმემ - დედამ ო. ხ.-მა. კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი მოწმის პოზიციის გარდა სხვა მტკიცებულება, რომლითაც ადვოკატ ა. ტ.-ს მიერ აღნიშნული ქცევა დადასტურდება, შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას არ გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ა. ტ.-მ საჩივრის ავტორს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

8.17 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და შესაბამისად, ადვოკატ ა. ტ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5და მე-15 ნაწილებით; 32–ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №054/18 ადვოკატ ა. ტ.-ს მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/